ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

თბილისი

2022

სარჩევი

შესავალი	3
I. საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები	5
II. რას გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესი?	9
III. ბავშვის მონაცემთა დამუშავების პრინციპები ციფრულ გარემოში	12
IV. თანხმობა, როგორც ბავშვის მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი	20
V. ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები	23
წყაროები	32

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ცაგარეიშვილი — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი.

გვანცა გაბაიძე — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი.

ფოტო (დოკუმენტის გარეკანსა და დოკუმენტში): © flaticon.com

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ციფრულმა ტექნოლოგიებმა მკვეთრად შეცვალა მსოფლიო. ბავშვები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ციფრულ სივრცეს, რაც მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. ციფრული გარემო ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს მარტივად მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, განახორციელონ კომუნიკაცია, გამოხატონ საკუთარი აზრი და სხვა. შესაბამისად, ერთი მხრივ, ონლაინ სივრცე იძლევა სარგებელს, თუმცა მეორე მხრივ, წარმოშობს გარკვეულ რისკებს ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო პირდაპირ არ ითვალისწინებს ციფრულ გარემოში ბავშვების პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებს. აქედან გამომდინარე, ბავშვის მონაცემთა დაცვის გარანტიების შექმნისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება.

გზამკვლევის მიზანია ციფრულ გარემოში ბავშვების უფლებებთან დაკავშირებით საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და მათი ეროვნულ კანონმდებლობასთან მისადაგება. ამისათვის, დოკუმენტში ყურადღებაა გამახვილებული „ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ ცნებასთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე, მონაცემთა დამუშავების პრინციპებზე, საფუძვლებსა და ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებზე.

საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვა, მათ შორის, ციფრულ გარემოშიც. აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2022 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 7 აპრილის №01/23 ბრძანების მიხედვით, მიზნობრივ ჯგუფად დასახელებულია არასრულწლოვნებიც, ხოლო პრიორიტეტულ სფეროდ მითითებულია, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციები და თანამედროვე ტექნოლოგიები. სამსახური მუდმივად ცდილობს ბავშვის უფლებათა დაცვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და ეფექტიანი სტანდარტების დამკვიდრებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო, ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის სტანდარტების შესახებ, სფეროთი დაინტერესებულ პირებს ზოგად ინფორმაციას აწვდის. დოკუმენტი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, შესაბამისად, სამსახური იტოვებს შესაძლებლობას, რომ, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საკითხები ამ დოკუმენტში მოცემული მოსაზრებებისგან განსხვავებულად გადაწყვიტოს.

გზამკვლევი ღიაა ცვლილებებისთვის და სამსახური მიესალმება პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებლების, ბავშვების, მათი მშობლების/სხვა კანონიერი წარმომადგენლებისა და სხვა პირთა წინადადებებს მისი გაუმჯობესებისა და შემდგომი საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: office@pdps.ge.

რა რისკები არსებობს ბავშვების მხრიდან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას?[1]

შინაარსობრივი რისკები

შინაარსობრივი რისკი გულისხმობს ბავშვის მიერ საზიანო, აგრესიული ან უკანონო ციფრული შინაარსის მიღებას.

შინაარსობრივი რისკები მოიცავს:

- ➔ პორნოგრაფიულ, ძალადობრივ, რასისტულ, აგრესიულ ან სხვა მხრივ საზიანო, ბავშვის ასაკისათვის შეუსაბამო ან უკანონო შინაარსს;
- ➔ რეკლამასა და არასასურველ შეტყობინებებს;
- ➔ მავნე რჩევების ან არასწორი ინფორმაციის მიღებას.

ქცევითი რისკები

ქცევითი რისკი გულისხმობს ბავშვის მხრიდან იმ მოქმედების განხორციელებას, რაც მას ხდის მოწყვლადს.

ქცევითი რისკებია:

- ➔ უკანონო საქმიანობაში ჩართვა;
- ➔ სხვების ბულინგი ან შევიწროება;
- ➔ საზიანო მასალების გაზიარება (მაგალითად, პორნოგრაფია);
- ➔ საფრთხის შემცველი რჩევის მიცემა (მაგალითად, სუიციდი ან კვებითი აშლილობა).

სახელშეკრულებო რისკები



სახელშეკრულებო რისკი მიემართება ბავშვებს, როგორც ციფრულ მარკეტში აქტიურ მონაწილეებს.

სახელშეკრულებო რისკები მოიცავს:

- ➔ ბავშვებისათვის უკანონო ან შეუსაბამო ციფრული მარკეტინგის შეტყობინებების მიღებას;
- ➔ ეკონომიკურ რისკებს;
- ➔ უსაფრთხოების რისკებს.

სოციალური ურთიერთობის რისკები

სოციალური ურთიერთობის რისკი უკავშირდება ბავშვს, რომელიც მონაწილეობს ონლაინ შეხვედრებში.

ამ რისკებში მოიაზრება:

- ➔ ბულინგი, შევიწროება ან ადევნება;
- ➔ ციფრული თაღლითობა;
- ➔ პირადი ინფორმაციის მოპოვება ან კონტროლი;
- ➔ პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენება.

I. ბავშვები ციფრულ გარემოში — საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები



1. ბავშვის უფლებათა დაცვა ეროვნულ დონეზე

ბავშვის სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება

⇨ ბავშვს აქვს სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება.

⇨ სახელმწიფო იღებს ბავშვის სიცოცხლის დასაცავად საჭირო ყველა ზომას და ქმნის მისი ჰარმონიული განვითარებისთვის საჭირო ყველა პირობას ბავშვის უფლებათა კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების, საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ბავშვის განათლების უფლება

⇨ ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება.

⇨ სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ბავშვის უფლებათა კოდექსი

ბავშვი - 18 წლამდე
არასრულწლოვანი

ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

⇨ ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი სივრცე, აწარმოოს პირადი მიმოწერა.

⇨ დაუშვებელია ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების უკანონო შეზღუდვა, მათ შორის, მის პირად სივრცეში, ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში დაუსაბუთებელი და არაკანონიერი ჩარევა.

ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები

⇨ ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ბავშვს ასევე უფლება აქვს, მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი ასაკისა და გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად.

⇨ ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებითა და ფორმით.

⇨ ბავშვს აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

2

2. საერთაშორისო სტანდარტები ციფრულ სივრცეში ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ

ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“[3] საერთაშორისო დონეზე პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც აღიარებს ბავშვების განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის საჭიროებას. კონვენციის მიზანია, რომ უფლებები თითოეული ბავშვისთვის იყოს გარანტირებული. კონვენციის დებულებები იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რათა ბავშვის უფლებები ჯეროვნად იქნას დაცული ციფრულ სამყაროშიც.[4]

მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ციფრულ გარემოში ბავშვების პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროების შესახებ

2021 წლის 28 აპრილს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო დეკლარაცია, რომელიც შეეხება ციფრულ გარემოში ბავშვების პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროებას. ყურადღება ეთმობა რისკებს, რასაც ბავშვი აწყდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ მნიშვნელოვანია კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ბავშვების პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების გაძლიერებული დაცვა.[5]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის (შემდგომში - GPA) რეზოლუცია

2021 წლის ოქტომბრის რეზოლუცია შეეხება ბავშვის ციფრულ უფლებებს, რომელშიც გაცხადებულია, რომ ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. ისინი სარგებლობენ ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით აღიარებული უფლებებით.[6] აღნიშნული უფლებებით სარგებლობა ბავშვმა უნდა შეძლოს ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ონლაინ სივრცეში.[7] რეზოლუციაში დადასტურებულია, რომ ციფრული გარემო გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ მომავალსა და შესაძლებლობებზე. ამდენად, ამ მიმართულებით არსებითად მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებების დაცვის ხელშეწყობა.[8]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)

GDPR - ის 38-ე პუნქტის თანახმად, ბავშვები, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან შეიძლება მათთვის ნაკლებად ცნობილი იყოს რისკები, შედეგები და დაცვის საშუალებები.

ძირითადი კომენტარები და რეკომენდაციები:

2013 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დაამტკიცა **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები,** რომელშიც ხაზგასმულია, რომ ბავშვები მიეკუთვნებიან მონაცემთა სუბიექტების მოწყვლად ჯგუფს. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებს მიაწოდონ ინფორმაცია, რათა დაცულები იყვნენ ონლაინ სივრცეში და ინტერნეტი გამოიყენონ სარგებლის მისაღებად.[9]

2018 წელს, ევროსაბჭოს **მინისტრთა კომიტეტმა წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის, პატივისცემისა და აღსრულების შესახებ შეიმუშავა რეკომენდაციები,** რომლებიც ეყრდნობა ევროსაბჭოს იურიდიულად მბოჭავ კონვენციებს, ასევე, ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. სახელმძღვანელოში, ხაზი ესმევა სახელმწიფოების მხრიდან ბავშვის პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობას.[10]

2019 წლის 21 ნოემბერს, ევროსაბჭოს **მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრული მოქალაქეობის სწავლების განვითარებისა და ხელშეწყობის თაობაზე,** რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი ესმევა

ბავშვებისათვის ციფრული მოქალაქეობის განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელობას. ასევე, მითითებულია, რომ ხელი უნდა შეეწყოთ მშობლებს/სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, რათა გააძლიერონ ბავშვები ციფრულ გარემოში და დაიცვან შესაბამისი ბალანსი ონლაინ უსაფრთხოებასა და ბავშვის მონაწილეობას შორის. დამატებით, ყურადღება ეთმობა მასწავლებლების როლსაც ამ სფეროში.[11]

2021 წელს, ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა **№25 ზოგადი კომენტარი**[12] **ციფრულ გარემოში ბავშვების უფლებებთან დაკავშირებით,** რომელშიც განხილულია საკითხები ციფრულ სამყაროსთან კონვენციის შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სახელმწიფოებმა ციფრულ სამყაროში ბავშვის უფლებების რეალიზებისთვის. კომიტეტი აცნობიერებს, ერთი მხრივ, ციფრული გარემოს სარგებელს, ხოლო, მეორე მხრივ, რისკებს ამ უფლებების დარღვევისა და ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით.[13]

2021 წლის მარტში, გამოქვეყნდა 2 მნიშვნელოვანი დოკუმენტი ციფრულ სამყაროში ბავშვის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის თაობაზე:

სტრატეგიის დოკუმენტი[14] - შეეხება ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ქმედებებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით. ამასთან, ყურადღება ეთმობა ციფრულ გარემოში ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვის ვალდებულებას. სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის შესახებ, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ბავშვის ციფრულ უფლებებზე, მაგალითად: ექსპლუატაცია, კიბერბულინგი და სექსუალური ძალადობის (ექსპლუატაციის) შემთხვევები ონლაინ სივრცეში.[15]

2030 წლის ციფრული კომპასი: ევროპული გზა ციფრული ათწლეულისთვის[16] - ევროკომისიის ინიციატივა იყო ციფრული კომპასის შექმნა, რომელიც შეეხებოდა ხედვას, მიზნებსა და შესაძლებლობებს 2030 წლისთვის წარმატებული ციფრული გარდაქმნის კუთხით. ევროკომისია აცხადებს, რომ არსებითად მნიშვნელოვანია ბავშვების ციფრული უფლებების რეალიზაცია.[17]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2021 წლის 31 მაისის რეკომენდაცია შეეხება ბავშვებს ციფრულ გარემოში.[18] რეკომენდაციის მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს ბალანსის პოვნაში. კერძოდ, ერთი მხრივ, დაიცვან ბავშვები ონლაინ რისკებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყონ ციფრული სამყაროსგან სარგებლის მიღებას. მითითებულ რეკომენდაციაში გაწერილია პრინციპები, რომელთა შესაბამისადაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვებისათვის უსაფრთხო და სასარგებლო ციფრული გარემო.[19]

2022-2027 წლების ევროსაბჭოს სტრატეგიის დოკუმენტში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს ბავშვის უფლებების დაცვას ციფრულ გარემოში. მასში გამოყოფილია 6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა შორის არის ყველა ბავშვისთვის ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფა და მათი უსაფრთხო გამოყენება. ყურადღებაა გამახვილებული ძალადობის რისკებზე, რომელსაც აწყდება ბავშვი, მათ შორის, ციფრულ გარემოში.[20]

მინისტრთა კომიტეტმა წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის, პატივისცემისა და აღსრულების შესახებ რეკომენდაციებში, განმარტა ციფრული გარემო, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტი, მობილური და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და მოწყობილობები, ასევე, ციფრული ქსელები, მონაცემთა ბაზები, შინაარსი და სერვისები.

II. რას გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესი?

1. დეფინიცია

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია

ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.[21] სახელმწიფოს ეკისრება ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ვალდებულება.[22] ასევე, კონვენციაში ხაზი ესმევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულებას.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

კონვენცია მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.[23]

29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის მოსაზრება

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება შესწავლილი იქნა 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებაში,[24] რომელშიც ყურადღება გამახვილდა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაცული უნდა იყოს ყველას მხრიდან, ვინც ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ საქართველოს კოდექსი

„ბავშვის საუკეთესო ინტერესები – ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით“.

კოდექსის კომენტარების თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესახებ მოცემული დეფინიცია არ მოიცავს ამომწურავ განმარტებას და ტოვებს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას, რადგან ბავშვთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ამომწურავი განსაზღვრება შეუძლებელია. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დეფინიცია უნდა იყოს დინამიური და მოქნილი, იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს ბავშვთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო კონკრეტულ შემთხვევას.[25]

2. როგორ დავიცვათ ბავშვის საუკეთესო ინტერესი?[26]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, საჭიროა ონლაინ მომსახურების შექმნისას გათვალისწინებული იქნას ბავშვის, როგორც მომხმარებლის საჭიროებები და შემდეგ განისაზღვროს, თუ როგორ უნდა გაეცეს პასუხი ამ საჭიროებებს. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მომხმარებლის ასაკის გათვალისწინება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი 2 პირობა:

- ✓ დავრწმუნდეთ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობაში, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას;
- ✓ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ვიხელმძღვანელოთ ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება არ გულისხმობს კომერციული თუ სხვა ინტერესების შეზღუდვას. კომერციული ინტერესები არ უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან შეუთავსებადი. კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, საჭიროა:

- ✓ ბავშვები დაცულები იყვნენ ექსპლუატაციის რისკებისგან, მათ შორის კომერციული ან სექსუალური ექსპლუატაციისა ან ძალადობისგან;
- ✓ დაცული და მხარდაჭერილი იყოს ბავშვების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- ✓ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური განვითარების დაცვა და მხარდაჭერა;
- ✓ მათი მოსაზრებისა და იდენტობის დაცვა და მხარდაჭერა;
- ✓ თამაშის უფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მხარდაჭერა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებების მხარდაჭერა;
- ✓ მშობლების როლის აღიარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და ხელშეწყობაში, ასევე, მშობლების მხარდაჭერა ამ ამოცანის შესრულებაში;
- ✓ ბავშვების განვითარებადი უნარების აღიარება და მათი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება.

III. ბავშვის მონაცემთა დამუშავების პრინციპები ციფრულ გარემოში

1. სამართლიანობა და კანონიერება

> სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის მიხედვით, მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად.[27]

კანონიერი დამუშავება გულისხმობს, რომ დამუშავებისას დაცულია ყველა რელევანტური სამართლებრივი მოთხოვნა. იმისათვის, რომ მონაცემთა დამუშავება კანონიერად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს კანონის შესაბამისი, გააჩნდეს ლეგიტიმური მიზანი, იყოს აუცილებელი და პროპორციული დემოკრატიულ საზოგადოებაში.[28]

სამართლიანად დამუშავება გულისხმობს, რომ არ მომხდარა მონაცემთა მოპოვება და სხვაგვარად დამუშავება უსამართლო საშუალებებით, შეცდომაში შეყვანით ან მონაცემთა სუბიექტის ცოდნის გარეშე.[29]

მოქმედი კანონმდებლობით, გამჭვირვალობის პრინციპი ცალკე არ არის გამოყოფილი, თუმცა სამართლიანობის პრინციპისა და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლების[30] ნაწილად განიხილება.

გამჭვირვალობის პრინციპი მოითხოვს, რომ როდესაც მონაცემთა დამმუშავებლების სამიზნე აუდიტორიას ბავშვები წარმოადგენენ ან მათ პროდუქციას/მომსახურებას განსაკუთრებით ბავშვები იყენებენ, ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაცია უნდა იყოს გადმოცემული მკაფიო და მარტივი ენით ან ადვილად გასაგები საშუალებებით.[31] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბავშვებზე მორგებული ენითა და ფორმით კონფიდენციალურობის პოლიტიკის[32] შემუშავება.

რეკომენდაციები

- ✓ მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს დამუშავების კანონიერი საფუძვლის იდენტიფიცირება.
- ✓ უნდა შეფასდეს, რა გავლენა ექნება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ბავშვზე.
- ✓ უნდა დასაბუთდეს ყოველგვარი უარყოფითი ზემოქმედება ბავშვის საუკეთესო ინტერესზე.
- ✓ პერსონალური მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ბავშვის გონივრული მოლოდინის შესაბამისად ან უნდა დასაბუთდეს, რატომ არის ნებისმიერი მოულოდნელი დამუშავება გამართლებული.
- ✓ მონაცემთა შეგროვება არ უნდა განხორციელდეს ბავშვის მოტყუებით ან შეცდომაში შეყვანით.[33]
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიიღოს ზომები ციფრული სერვისების გამოყენების პროცესში ბავშვების დასაცავად.[34]

იმისათვის, რომ კონფიდენციალურობის პოლიტიკა გასაგები იყოს ბავშვებისთვის:

- ✓ იგი უნდა იყოს ნათლად და გასაგები ენით შედგენილი;
- ✓ დოკუმენტში პირადი ცხოვრების დაცულობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მათზე მორგებული გზებით, როგორიცაა: დიაგრამები, ანიმაციები, გრაფიკები, ვიდეოები, სიმბოლოები და სხვა;
- ✓ გასაგები ენით უნდა განემარტოთ მათი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის მიზეზები და რაში გამოიყენება ეს მონაცემები;
- ✓ საუკეთესო პრაქტიკის სახით, მათ უნდა განემარტოთ მონაცემთა დამუშავების რისკები და მათგან დაცვის რა გარანტიები არსებობს, იმგვარად, რომ ბავშებმა და მათმა მშობლებმა გაიგონ მონაცემთა გაზიარების შესაძლო გამოწვევები;
- ✓ მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ.[35]

როგორ უნდა მოხდეს ბავშვებისთვის კონფიდენციალურობის პოლიტიკის გაცნობა?

- ✓ კონფიდენციალურობის პოლიტიკა უნდა იყოს ბავშვზე მორგებული[36] და მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი.[37]
- ✓ ონლაინ ფორმები ნათლად უნდა უთითებდეს, რომელი ველია „სავალდებულო“ და რომელი – არა, ასევე, რა შედეგები მოჰყვება სავალდებულო ველის შეუვსებლობას.[38]
- ✓ ბავშვის საჭირო პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს მომსახურების კონკრეტული ელემენტის მიწოდებისას, როდესაც იგი აქტიურად და შეგნებულად იყენებს მომსახურების ამ ელემენტს.[39]
- ✓ კონფიდენციალურობის პოლიტიკა მუდმივად უნდა განახლდეს.[40]

2. კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი

მიზნის შეზღუდვის პრინციპი ნიშნავს, რომ მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.[41]

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები უნდა განისაზღვროს თავიდანვე, პერსონალური მონაცემების შეგროვების მომენტიდან. პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ან შეუზღუდავი მიზნებისთვის დამუშავება უკანონოა, რადგან ეს არ იძლევა დამუშავების ფარგლების ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას.[42]

მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს, რომ მიზანი აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მიზნები უნდა იყოს კონკრეტული – ნებისმიერ შემთხვევაში, წინასწარ, არაუგვიანეს პერსონალურ მონაცემთა შეგროვების დაწყებისა, მიზანი უნდა იყოს ზუსტად და სრულად იდენტიფიცირებადი;
- მიზნები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული – ე. ი. ნათლად გამოვლენილი, ახსნილი ან გამოხატული რაიმე ფორმით;
- მიზნები უნდა იყოს კანონიერი, რაც ფართო მოთხოვნაა და არ არის საკმარისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მხოლოდ რომელიმე მოთხოვნაზე მითითება. იგი, ასევე, ვრცელდება სამართლის სხვა სფეროებზე და უნდა განიმარტოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონტექსტში.[43]

რეკომენდაციები

- ✓ წინასწარ უნდა განისაზღვროს ბავშვის მონაცემთა დამუშავების მიზანი.
- ✓ დამუშავების მიზნების შესახებ მონაცემებს უნდა შეიცავდეს მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა.
- ✓ თუ მონაცემთა დამმუშავებელი გეგმავს, რომ პერსონალური მონაცემები გამოიყენოს ახალი მიზნით, გარდა იმისა, რაც გამომდინარეობს კანონმდებლობით მონაცემთა დამმუშავებლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი ვალდებულებიდან ან ფუნქციებიდან, უნდა შეფასდეს, აღნიშნული მიზანი არის თუ არა თავდაპირველი მიზნის შესაბამისი ან ახალ მიზანთან დაკავშირებით მოპოვებულ უნდა იქნას თანხმობა.[44]

!

კანონიერი დამუშავება შემოიფარგლება მხოლოდ საწყისი მიზნით და ნებისმიერი ახალი მიზანი საჭიროებს ცალკე სამართლებრივ საფუძველს.[45] ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ბავშვის ასაკის დადასტურების[46] მიზნით მოპოვებული მონაცემების გამოყენება სხვა მიზნით დაუშვებელია.[47]

3. ადეკვატურობა და პროპორციულობა

ადეკვატურობა და პროპორციულობა, იგივე, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი ნიშნავს, რომ მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება.[48]

GDPR-ის მიხედვით, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დაცვისათვის საჭიროა, რომ დამუშავებული მონაცემების მოცულობა იყოს:

- ადეკვატური — საკმარისი დასახელებული მიზნის სათანადოდ მიღწევისთვის;
- შესაბამისი — ჰქონდეს გონივრული კავშირი დასახულ მიზანთან;
- შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია — არ დამუშავდეს უფრო მეტი მონაცემი, ვიდრე მიზნის მიღწევისთვის არის საჭირო.[49]

რეკომენდაციები

✓ უნდა შეგროვდეს მხოლოდ იმ რაოდენობის მონაცემები, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

✓ პერიოდულად უნდა გადაიხედოს რა მონაცემებს ფლობს მონაცემთა დამმუშავებელი და თუ მონაცემთა შენახვის საჭიროება აღარ არსებობს, ის უნდა წაიშალოს.[50]

✓ ბავშვებს უნდა მიეცეთ სერვისების ცალკეული ელემენტების გამოყენების და შესაბამისად, პროპორციული რაოდენობის პერსონალური მონაცემების მიწოდების შესაძლებლობა.

✓ ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს, აქვს თუ არა მისი პერსონალური მონაცემების ახალი მიზნებისთვის გამოყენების სურვილი, ასევე, აქვს თუ არა სურვილი სერვისების გაუმჯობესების სანაცვლოდ, უფრო დიდი რაოდენობით გასცეს პერსონალური მონაცემები.[51]

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი ირღვევა, როდესაც:

✗ გროვდება უფრო მეტი მოცულობის მონაცემი, ვიდრე საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად ან შეგროვილი ინფორმაცია შეიცავს არარელევანტურ დეტალებს. მაგალითად, ასაკის ვერიფიკაციისთვის დამმუშავებელს ესაჭიროება ბავშვის დაბადების თარიღი, თუმცა შესაბამისი ონლაინ ფორმა სავალდებულოდ ითვალისწინებს სქესის მითითებასაც.

✗ მონაცემთა დამმუშავებელს სჭირდება ზოგიერთი ფიზიკური პირის თაობაზე კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა ასეთ ინფორმაციას აგროვებს სხვა პირების (მაგალითად, ბავშვის ოჯახის წევრების) მიმართაც და სხვა.[52]

4. ნამდვილობა და სიზუსტე

მონაცემთა სიზუსტის პრინციპი გულისხმობს, რომ მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.[53]

პრაქტიკაში, მონაცემთა სიზუსტის პრინციპი ნიშნავს, რომ:

- მიღებულ იქნას გონივრული ზომები პერსონალური მონაცემების სისწორის უზრუნველსაყოფად;
- პერსონალურ მონაცემთა მოპოვების წყარო უნდა იყოს ნათელი;
- მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევა ყურადღებით უნდა გაანალიზდეს;
- უნდა შეფასდეს ინფორმაციის პერიოდულად განახლების საჭიროება.[54]

რეკომენდაციები

- ✓ ბავშვის პერსონალურ მონაცემთა შეგროვების შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა დანერგოს შესაბამისი მონაცემების სიზუსტის შემოწმების პროცედურა, ასევე, აღრიცხოს ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების წყაროს შესახებ.
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა დანერგოს პერსონალურ მონაცემთა განახლების პროცედურა და საჭიროების შემთხვევაში, განაახლოს.
- ✓ მცდარი ჩანაწერების დამუშავების საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერებში ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ იგი წარმოადგენს შეცდომას.
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა პატივი უნდა სცეს ბავშვის უფლებას, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა გასწორება და ყურადღებით განიხილოს მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევა.[55]

მონაცემთა სიზუსტე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასაკის შემოწმების[56] კონტექსტში, მაგალითად, ასაკობრივი შეზღუდვის მქონე ფილმებზე, მათზე წვდომის მიზნით, პირს შესაძლოა მოეთხოვოს ასაკის თაობაზე ინფორმაციის ელექტრონულად შევსება.

ბავშვი, რომელსაც შეუძლია წვდომა ჰქონდეს შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებისა და სრულწლოვანებისთვის განკუთვნილ სერვისებზე, შეიძლება, მაგალითად, უნებლიედ დაეთანხმოს მონაცემთა დამუშავებას, რაც იწვევს არასათანადო პროფილირებას.[57] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამმუშავებლებმა, რომლებიც ახორციელებენ ასაკის შემოწმებას, გაითვალისწინონ ასაკობრივ შემოწმებაზე გვერდის ავლის რისკი და ზიანი, რომელიც შეიძლება ამას მოჰყვეს.[58]

5. მონაცემთა შენახვის ვადა

შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპი გულისხმობს, რომ მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.[59]

GDPR და მოდერნიზებული 108-ე კონვენციის თანახმად, პერსონალური მონაცემები უნდა შეინახოს ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას არაუმეტეს იმ დროით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებისთვის.[60]

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში შენახვის ვადის შეზღუდვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მონაცემების გადაჭარბებული ვადებით შენახვის შემთხვევაში, იგი ხდება არასაჭირო, შესაბამისად, აღარ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი. უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით კი, პერსონალურ მონაცემთა შენახვა იმაზე მეტი ვადით, ვიდრე აუცილებელია, საჭიროებს შენახვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზედმეტ ხარჯებს.[61]

რეკომენდაციები

- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა იცოდეს რა პერსონალურ მონაცემს ფლობს და რატომ სჭირდება ეს ინფორმაცია.
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელს უნდა შეეძლოს დაასაბუთოს, რატომ ინახავს პერსონალურ მონაცემებს კონკრეტული ვადებით.
- ✓ შესაძლებლობის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელს უნდა გააჩნდეს სტანდარტული შენახვის ვადების თაობაზე პოლიტიკის დოკუმენტი.
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა პერიოდულად უნდა გადახედოს მის ხელთ არსებულ მონაცემებს და წაშალოს/გაანადგუროს ან მოახდინოს ისეთი მონაცემების დეპერსონალიზაცია, რომლებიც აღარ სჭირდება.
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელს უნდა ჰქონდეს დანერგილი შესაბამისი პროცედურები, რათა შეასრულოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები მონაცემთა წაშლის/განადგურების შესახებ.

მონაცემთა დამმუშავებელმა ვადების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს პროპორციული მიდგომით, რათა დაბალანსდეს მისი საჭიროებები და შენახვის ვადების გავლენა ბავშვის პირად ცხოვრებასა და მის საუკეთესო ინტერესზე.[62]

6. მონაცემთა უსაფრთხოება

GDPR-ის მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, რაც გულისხმობს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს იმგვარად, რომ სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება, მათ შორის, დაცული იყოს უკანონო და არაუფლებამოსილი პირების მიერ დამუშავების, შემთხვევით დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისაგან.[63]

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის, ორგანიზაციული ზომების ნაწილში, შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მიღება;
- უსაფრთხოების საკითხებზე ბავშვთა და მათი მშობლების/სხვა კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება და სხვა.[64]

ტექნიკურ ზომებად, ძირითადად, მიიჩნევა პერსონალურ მონაცემთა დაცვა კომპიუტერებსა და ქსელებში.

რეკომენდაციები

- ✓ უნდა გაანალიზდეს, რა რისკები შეიძლება ახლდეს ბავშვის მონაცემთა დამუშავებას და აღნიშნული გათვალისწინებულ იქნეს უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვის პროცესში.
- ✓ უნდა შემუშავდეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა,[65] პერიოდულად განახლდეს/გაუმჯობესდეს;
- ✓ უსაფრთხოების ზომები უნდა გადაიხედოს პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს.[66]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას და ამისათვის, შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას.

IV. თანხმობა, როგორც ბავშვის მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი

პერსონალური მონაცემების კანონიერად დასამუშავებლად, საჭიროა, არსებობდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველი.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი საფუძვლები განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით. სპეციალური საფუძვლები კი, მოცემულია ამავე კანონის მე-7 — მე-14 მუხლებში.

ბავშვების კონტექსტში, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საფუძველია — თანხმობა.[67]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თანხმობა არის „მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება“.[68]

თანხმობის ელემენტებია:

ნებაყოფლობითი/თავისუფალი – გულისხმობს ადამიანებისთვის თავისუფალი არჩევანის მიცემას და მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კონტროლის განხორციელებას. თუ პირს არ აქვს რეალური არჩევანის შესაძლებლობა, თანხმობა არ მიიჩნევა ნებაყოფლობითად;[69]

ინფორმირებული – მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება მის თანხმობამდე არსებითად მნიშვნელოვანია, რათა მან მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და გაიაზროს მისი შინაარსი.[70] ინფორმირებული თანხმობისთვის, შესაბამის პირს უნდა ეცნობოს დამუშავებაზე უარის თქმის შედეგებიც;[71]

კონკრეტული – მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა მიემართებოდეს კონკრეტული დამუშავების მიზანს, რომელიც ნათლად და მკაფიოდაა აღწერილი;[72]

მკაფიო – ყველა თანხმობა უნდა იყოს მკაფიო.[73] კერძოდ, გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი, ნამდვილად სურდა თუ არა მონაცემთა სუბიექტს გამოეხატა თანხმობა საკუთარი მონაცემების დამუშავებაზე.[74]

GDPR არ ითვალისწინებს ზოგად წესებს ბავშვების თანხმობასთან დაკავშირებით, თუმცა მე-8 მუხლში წარმოდგენილია კონკრეტული დებულებები ბავშვების თანხმობის შესახებ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კონტექსტში. ბავშვებისთვის შეიძლება ნაკლებად იყოს ცნობილი რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და უფლებები, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას.[75]

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებისგან თანხმობის მისაღებად მხედველობაში იქნას მიღებული მათი განვითარების დონე, რათა გაიაზრონ რის თაობაზე აცხადებენ თანხმობას და რა პოტენციური შედეგები მოჰყვება დამუშავებას. ასაკის შეზღუდვისას საჭიროა დაბალანსდეს მონაწილეობის უფლება და ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკი.

ბავშვს მის ასაკსა და სიმწიფეზე მორგებული ინფორმაციის მიღების უფლება აქვს. ასევე, უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი და ჩაერთოს იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე.[76]

რეკომენდაციები[77]

თანხმობის მოპოვებამდე:

- ✓ უნდა დადასტურდეს, რომ თანხმობა ყველაზე შესაფერისი სამართლებრივი საფუძველია პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად;
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ თანხმობის მოპოვებისათვის მოთხოვნა გასაგები ენით არის დაწერილი და განცალკევებულია წესებისა და პირობებისგან;
- ✓ უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ თანხმობა არ იყოს მომსახურების მიღების წინაპირობა.



მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;
- ✓ უფლებამოსილი პირის ვინაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რეგისტრირებული მისამართი;
- ✓ მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- ✓ სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება;
- ✓ მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება;
- ✓ მესამე მხარის სახელწოდება, როგორიცაა სხვა ორგანიზაცია, რომელსაც წვდომა ექნება მონაცემებზე;
- ✓ თანხმობაზე უარის თქმის უფლების არსებობა, ნეგატიური შედეგების გარეშე;
- ✓ თანხმობაზე უარის თქმის პროცედურა.

! თანხმობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს მონაცემები.[78]

V. ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები

ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებების მნიშვნელობა

ბავშვებს გააჩნიათ ციფრულ გარემოში პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. ეს უფლება მოიცავს მათი პერსონალური მონაცემების დაცვას, ასევე, კორესპონდენციისა და პირადი კომუნიკაციების კონფიდენციალურობის პატივისცემას.[79] ბავშვები საკუთარ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით სარგებლობენ იმავე უფლებებით, რაც გააჩნიათ სრულწლოვნებს.[80] ამ უფლებას პატივი უნდა სცეს ყველამ, მათ შორის, ბავშვის კანონიერმა წარმომადგენლებმა.

ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, ხშირად, რთულია შეეთავსოს მშობლების ლეგიტიმურ, საზოგადოებრივ და სამთავრობო ინტერესებს, როდესაც საქმე ეხება მის დაცვას ზიანისგან, განსაკუთრებით, ციფრულ გარემოში. გარკვეული ონლაინ აქტივობების დროს ბავშვების პოტენციური რისკებისგან დაცვის ლეგიტიმური მიზანი უნდა დაბალანსდეს მათი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან (და სხვა უფლებებთან, როგორიცაა გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება).[81]

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა, გარკვეულ შემთხვევებში, კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის გარეშე, თავად შეძლონ საკუთარი უფლებებით სარგებლობა, მაგალითად, სოციალური ქსელების, თამაშებისა და ვიდეოების გაზიარების პლატფორმებზე, იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც თავად ატვირთეს (ფოტოები Instagram-ზე, ვიდეოები TikTok-ზე). დამოუკიდებლად მოქმედების ეს შესაძლებლობა არ არღვევს მშობლების უფლებამოსილებას, გამოიყენონ იგივე უფლებები მათი შვილის სახელით და უზრუნველყონ მხარდაჭერა ამ პროცესში.[82]

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო მონაცემთა დამმუშავებლებს ურჩევს, რომ მისცენ მშობლებს ბავშვის სახელით აღნიშნული უფლებების გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მათ ამის უფლებას აძლევს, როდესაც თავად არ შეუძლია ამ უფლებებით სარგებლობა ან როდესაც აშკარაა, რომ ეს არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები.[83]

1. ინფორმაციის მიღების უფლება

ინფორმაციის მიღების უფლება ნიშნავს, რომ როდესაც მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს გარკვეული სახის ინფორმაცია, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების მიზანი, სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება და თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები.[84] ეს ვალდებულება მონაცემთა დამმუშავებელმა/უფლებამოსილმა პირმა პროაქტიულად უნდა შეასრულოს, მიუხედავად იმისა, მონაცემთა სუბიექტი გამოავლენს თუ არა ინტერესს ამ ინფორმაციის მიმართ.[85]

ამ უფლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა არ იქნება ეფექტიანი, თუ მონაცემთა სუბიექტმა არ იცის მონაცემთა დამუშავების ფაქტის შესახებ, ასევე, დამუშავების მიზნის და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის ვინაობის თაობაზე.[86]

რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ბავშვს, როდესაც უშუალოდ მისგან ხდება მონაცემთა შეგროვება?

- ✓ მონაცემთა დამმუშავებლის სახელწოდება და რეგისტრირებული მისამართი;
- ✓ უფლებამოსილი პირის (არსებობის შემთხვევაში) სახელწოდება და რეგისტრირებული მისამართი;
- ✓ მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- ✓ სავალდებულოა თუ არა მონაცემთა მიწოდება. თუ სავალდებულოა — მონაცემთა მიუწოდებლობას რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება;
- ✓ უფლებების შესახებ ინფორმაცია.[87]

როდის და რა ფორმით მიეწოდება ბავშვს ინფორმაცია, როდესაც უშუალოდ მისგან ხდება მონაცემთა შეგროვება?

- ✓ ბავშვს შესაბამისი კონფიდენციალურობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მონაცემთა შეგროვების მომენტში.
- ✓ მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, ლაკონური, გასაგები, გამჭვირვალე, მარტივი ენით შედგენილი.[88]

2. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

ინფორმაციის მოთხოვნის, იგივე, მონაცემებზე წვდომის უფლება ნიშნავს, რომ თითოეულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება, მოთხოვნისთანავე მიიღოს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.[89]

ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს.[90] ეს უფლება მონაცემთა სუბიექტს ეხმარება გაიგოს, როგორ და რატომ ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებელი მის პერსონალურს მონაცემებს, ასევე, აძლევს მას შესაძლებლობას შეამოწმოს დამუშავების კანონიერება.[91]

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ მის შესახებ რა მონაცემები მუშავდება;
- ✓ რა არის მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- ✓ რა არის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- ✓ რა წყაროების გამოყენებით შეგროვდა მონაცემები;
- ✓ ვისზე გაიცა მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემები, შესაბამისი საფუძველი და მიზანი.[92]

რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ინფორმაციის გამოთხოვის წერილი?

- ✓ წერილის ძირითადი მიზანი;
- ✓ მოთხოვნის თარიღი;
- ✓ იმ პერსონალური მონაცემების სრულყოფილი ჩამონათვალი, რომლებზე წვდომაც სურს მონაცემთა სუბიექტს, იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება;
- ✓ მონაცემთა სუბიექტის სახელი;
- ✓ საკონტაქტო ინფორმაცია;
- ✓ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომლითაც მონაცემთა დამმუშავებელი შეძლებს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებას;
- ✓ ნებისმიერი დეტალი, შესაბამისი თარიღი ან ძიების კრიტერიუმი, რომელიც დაეხმარება მონაცემთა დამმუშავებელს შესაბამისი მონაცემის მოძიებაში;
- ✓ რა ფორმით სურს მონაცემთა სუბიექტს ინფორმაციის მიღება.

- ✗ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით;
- ✗ ყველა სახის ინფორმაცია, რომელსაც მონაცემთა დამმუშავებელი ფლობს მონაცემთა სუბიექტის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სწორედ ეს სურს მონაცემთა სუბიექტს;
- ✗ მუქარა ან შეურაცხმყოფელი ენა.[93]

3. მონაცემთა გასწორების, განახლების და დამატების მოთხოვნის უფლებები

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული.[94]

ამ უფლებების შინაარსს მთლიანობაში შეესაბამება GDPR-ით გათვალისწინებული მონაცემთა გასწორების უფლება. ტერმინი „გასწორება“ მოიცავს არაერთ მნიშვნელობას: მოდიფიკაცია, კორექტირება, ინტეგრაცია ან განახლება.[95]

აღნიშნული უფლება გულისხმობს, რომ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ გასწორება.[96] გარდა ამისა, GDPR მონაცემთა სუბიექტს უფლებას ანიჭებს, მოითხოვოს არასრული პერსონალური მონაცემების შევსება, მათ შორის, დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გზით.[97] არასრული მონაცემების ეს ცნება უნდა შეფასდეს დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე.[98]

როგორ უნდა მოითხოვოს ბავშვმა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მონაცემთა გასწორება?

ბავშვმა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა აცნობოს მონაცემთა დამმუშავებელს, რომ ეჭვქვეშ აყენებს მის მონაცემთა სიზუსტეს და სურს მათი გასწორება. ამისათვის:

- ✓ მკაფიოდ უნდა მიეთითოს იმაზე, რაც მონაცემთა სუბიექტის აზრით არაზუსტი ან არასრულია;
- ✓ უნდა განიმარტოს, როგორ გაასწოროს ეს მონაცემები მონაცემთა დამმუშავებელმა;
- ✓ შესაძლებლობის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტმა უნდა მიუთითოს უზუსტობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

მონაცემთა გასწორების, განახლების ან დამატების შესახებ მოთხოვნა შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. თუმცა უმჯობესია, მოთხოვნა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით, რაც მონაცემთა სუბიექტს მისცემს შესაძლებლობას, დაასაბუთოს თავისი საჩივარი, წარადგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს სასურველი გადაწყვეტის გზები. წერილობითი ფორმა, ასევე, წარმოადგენს ერთგვარ მტკიცებულებას მონაცემთა სუბიექტისთვის, იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაწყვეტს მონაცემთა დამმუშავებლის პასუხების გასაჩივრებას.[99]

მონაცემთა სუბიექტს გააჩნია მონაცემთა დაბლოკვის მოთხოვნის,[100] იგივე, დამუშავების შეზღუდვის უფლება. მონაცემთა დაბლოკვა არის მონაცემთა დამუშავების (გარდა მონაცემთა შენახვისა) დროებით შეჩერება.[101] კერძოდ, როდესაც მონაცემთა სუბიექტი იყენებს ამ უფლებას, მონაცემთა დამმუშავებელს უფლება აქვს მხოლოდ პასიურად შეინახოს პერსონალური მონაცემები, მაგრამ აღარ შეუძლია მათი გაზიარება, გამჟღავნება, წაშლა ან სხვა სახის დამუშავების ოპერაციის შესრულება, გარდა კონკრეტული გამონაკლისებისა (მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა). დაბლოკვის უფლება ვრცელდება მხოლოდ შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, რის შემდეგ მონაცემთა დამმუშავებელი აღარ არის ვალდებული შეზღუდოს დამუშავების ოპერაციები.[102]

რა შემთხვევაში და რა პროცედურებით შეუძლია საზედამხედველო ორგანოს ჩაერთოს მონაცემთა დაბლოკვის უფლების რეალიზაციაში?

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, დაბლოკოს მონაცემები, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის დასრულებამდე, თუ მონაცემთა დამუშავება შესაძლოა ხორციელდებოდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ან მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტის დარღვევით და აღნიშნული მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის პირის უფლებებს.[103]

როდის შეუძლია მონაცემთა სუბიექტს მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მონაცემთა დამუშავების შეჩერება?

GDPR ზუსტად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია მონაცემთა დამუშავების შეზღუდვის უფლების გამოყენება. ეს შემთხვევებია, როდესაც:

- ✓ მონაცემთა სუბიექტი სადავოდ ხდის მონაცემთა სიზუსტეს;
- ✓ მონაცემები დამუშავდა უკანონოდ, ხოლო მონაცემთა სუბიექტი უარს აცხადებს მონაცემთა წაშლაზე/განადგურებაზე და სანაცვლოდ ითხოვს მათ დაბლოკვას;
- ✓ მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი ესაჭიროება სამართლებრივი მოთხოვნის დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნით.[104]

5. მონაცემთა წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება

მონაცემთა წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლების, იგივე „დავიწყების“ უფლების მიხედვით, თითოეულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ არაზუსტი, მცდარი ან უკანონოდ დამუშავებული მონაცემების წაშლა.[105]

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალური მონაცემების წაშლის/განადგურების უფლებას, თუ მოთხოვნა ეხება ბავშვებისგან შეგროვებულ მონაცემებს. ბავშვებს განსაკუთრებული დაცვა ენიჭებათ, განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში, რადგან მათ შესაძლოა, ნაკლებად იცოდნენ მონაცემთა დამმუშავებლისთვის მათი მონაცემების მიწოდების რისკი და შედეგები. სრულწლოვან პირსაც კი უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოითხოვოს ბავშვობაში მისგან შეგროვებული მონაცემების წაშლა/განადგურება. ამიტომ, მონაცემთა დამმუშავებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წაშლის/განადგურების შესახებ ნებისმიერ მოთხოვნას, თუ მონაცემთა დამუშავება ეფუძნება ბავშვის თანხმობას.

რა შემთხვევაში შეიძლება მონაცემთა წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლების გამოყენება?

- ✓ როდესაც მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც მოხდა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მათი შეგროვება ან სხვაგვარად დამუშავება;
- ✓ მონაცემთა სუბიექტმა თანხმობა განაცხადა მონაცემთა დამუშავებაზე, ხოლო მოგვიანებით გაითხოვა იგი;
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემები უკანონოდ შეაგროვა და გამოიყენა;
- ✓ მონაცემთა დამმუშავებელს გააჩნია მონაცემთა წაშლის/განადგურების სამართლებრივი ვალდებულება;
- ✓ მონაცემები შეგროვდა ბავშვისგან, როდესაც იგი იყენებდა ონლაინ მომსახურებას და სხვა.[106]

დაიმახსოვრეთ:

- ✓ არ არის საჭირო, მშობლები/სხვა კანონიერი წარმომადგენლები ჩაერთონ მონაცემთა წაშლის/განადგურების პროცესში, თუ ბავშვი საკმარისად დიდია გადაწყვეტილების მისაღებად;
- ✓ თუ ბავშვი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ თანხმობა გასცეს, მონაცემთა დამმუშავებელმა არ უნდა მიიღოს წაშლის/განადგურების შესახებ მოთხოვნა მშობლისგან/სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ბავშვის სურვილის გათვალისწინების გარეშე;

- ✓ ჩვეულებრივ, ბავშვისთვის ისეთივე მარტივი უნდა იყოს პერსონალური მონაცემების წაშლა/განადგურება, როგორიც მათი მიწოდებაა;
- ✓ ბავშვებს მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა გაუადვილონ წესებისა და პროცედურების გაგება და აჩვენონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ გამოიყენონ თავიანთი „დავიწყების უფლება“;
- ✓ „დავიწყების უფლება“ ყოველთვის არ მოქმედებს. არსებობს გარკვეული დასაბუთებული მიზეზები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში საშუალებას აძლევს მონაცემთა დამმუშავებელს შეინახოს პერსონალური მონაცემები, მიუხედავად პირთა წინააღმდეგობისა. მაგალითად, ასეთი შემთხვევა შეიძლება დადგეს, როდესაც პერსონალური მონაცემები მუშავდება ონლაინ, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში.[107]

6. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება

როდესაც მონაცემთა დამუშავება ხდება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა სუბიექტს ანიჭებს უფლებას, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. მაგალითად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს თავისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგისთვის[108] გამოყენების შეწყვეტა. როდესაც მონაცემთა დამმუშავებელს არ გააჩნია მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი, იგი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.[109]

რა საშუალებებით შეიძლება თანხმობის გამოთხოვა?

თანხმობის გაუქმება ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც მისი გაცემა. ეს ნიშნავს, რომ თანხმობის გაუქმების პროცესი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და ერთსაფეხურიანი. თუ შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უნდა შეეძლოს თანხმობაზე უარის თქმა იმავე მეთოდებით, რა გზითაც გასცა თანხმობა.[110]

მაგალითი

თუ სკოლამ დაადგინა, რომ თანხმობა არის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი კონკრეტულ კონტექსტში ბავშვების ფოტოების გადაღებისა და ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებისთვის, სკოლამ უნდა მოიპოვის ბავშვის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუ ბავშვი თანხმობის გასაცემად საკმარისად დიდი არ არის.

თუ სკოლა ითხოვს თანხმობას მშობლისგან ან სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან, რომ გადაიღოს ბავშვი სასკოლო ღონისძიებებზე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მკაფიოდ და ზუსტად ახსნას კონტექსტი, რომელშიც ამ ფოტოების გადაღება მოხდება. მაგალითად, რა ტიპის ღონისძიებებზე მოხდება ფოტოების გადაღება, რისთვის იქნება გამოყენებული ეს ფოტოები და ვის მიერ, სად გამოჩნდება და რამდენ ხანს შეინახება ისინი.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა/სხვა კანონიერმა წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ მათ აქვთ უფლება ნებისმიერ დროს გააუქმონ თანხმობა ასეთი ფოტოების შემდგომ გამოყენებაზე. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ თანხმობაზე უარის თქმა არ იმოქმედებს ამ კონკრეტული ბავშვის ნებისმიერი ფოტოს გამოყენებაზე, თანხმობის გამოთხოვამდე.[111]

7. გასაჩივრების უფლება

გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით, ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

მოდერნიზებული 108-ე კონვენცია აღიარებს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, დაიხმაროს საზედამხედველო ორგანო, მისი წარმომავლობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.[112]

GDPR-ის მიხედვით, საზედამხედველო ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჩივრების წარდგენას ისეთი ფორმით, რომელთა შევსება ელექტრონულადაც არის შესაძლებელი, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამორიცხვის გარეშე.[113]

ვინ განიხილავს საჩივრებს საქართველოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა ციფრულ სივრცეში დამუშავებასთან დაკავშირებით?

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყანაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს ახორციელებს საზედამხედველო ორგანო — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.[114] საზედამხედველო ორგანოში საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ისეთ საკითხზე, როგორიცაა ონლაინ სივრცეში ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავება.

შესაბამისი საჩივრების შეტანა, ასევე, შესაძლებელია სასამართლოში, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია აგრეთვე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთანავე, კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

წყაროები

[1] OECD, 21 St Century Children: Digital Risks and Resilience, 2018, p.2.

[2] საქართველოს კოდექსი ბავშვის უფლებების შესახებ, მე-6, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლები. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და, შესაძლებელია, ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის საკითხი კოდექსის სხვა მუხლების ფარგლებშიც იყოს რელევანტური [31.05.2022].

[3] UN, Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989 [31.05.2022].

[4] Children's rights in the digital environment: Moving from theory to practice, Best practice guideline, May 2021, p. 4 [31.05.2022].

[5] CoE, Declaration by the Committee of Ministers on the need to protect children's privacy in the digital environment, 28 April 2021.

[6] GPA (Global Privacy Assembly), 43rd Closed Session of the Global Privacy Assembly, October 2021, Adopted Resolution on children's digital rights, p. 2.

[7] *იქვე*, გვ. 3.

[8] იქვე, გვ. 3.

[9] THE OECD PRIVACY FRAMEWORK, 2013, p. 31-3 [31.05.2022].

[10] Children's rights in the digital environment: Moving from theory to practice, Best practice guideline, May 2021, p. 4.

[11] CoE, Recommendation CM/Rec (2019)10 of the Committee of Ministers to member States on developing and promoting digital citizenship education, p.11.

[12] UN Committee on the Rights of the Child, 'General Comment No. 25 (2021) on Children's Rights in Relation to the Digital Environment.

[13] *იქვე*, გვ. 3.

[14] European Commission, "EU Strategy on the Rights of the Child" [31.05.2022].

[15] Children's rights in the digital environment: Moving from theory to practice, Best practice guideline, May 2021, p. 7.

[16] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2030 Digital Compass: the European way for the Digital Decade, 9.03.2021 [31.05.2022].

[17] European Commission, "EU Strategy on the Rights of the Child".

[17] Children's rights in the digital environment: Moving from theory to practice, Best practice guideline, May 2021, p. 7.

[18] Recommendation of the Council on Children in the Digital Environment.

[19] Children in the digital environment, OECD [31.05.2022].

[20] CoE, Council of Europe Strategy for the Rights of the Child (2022-2027): "Children's Rights in Action: from continuous implementation on joint innovation".

[21] UN, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, Article 3.1.

[22] *იქვე*, მუხლი 3.2.

[23] UN, Convention on the Rights of Persons with Disabilities, Article 7.2.

[24] Opinion 2/2009 on the protection of children's personal data (General Guidelines and the special case of schools).

[25] სოფო კილაძე, პაატა ტურავა, ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარები, 2021, გვ. 44.

[26] ICO, The UK's independent authority set up to uphold information rights in the public interest, Age appropriate design: a code of practice for online services, p. 24-25.
[27] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი მე-4, „ა" ქვეპუნქტი [31.05.2022].
[28] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 314.
[29] *იქვე.*
[30] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლი - თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.
[31] Article 29 Working Party Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November, 2017 As last Revised and Adopted on 11 April 2018, §14, §15 [31.05.2022].
[32] კონფიდენციალურობის პოლიტიკა - ინფორმაცია, რომელიც მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტებს მათი მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენების თაობაზე. კონფიდენციალურობის პოლიტიკა მარტივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის, ვისი მონაცემიც გროვდება. იხ. Transparency (cookies and privacy notices), ICO [31.05.2022].
[33] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principles, Lawful, fair and transparent processing, ICO [31.05.2022].
[34] Accountability Framework, Transparency, ICO [31.05.2022].
[35] Guide to Data Protection, Key DP themes, Children, ICO [31.05.2022].
[36] CHILDREN FRONT AND CENTRE, FUNDAMENTALS FOR A CHILD-ORIENTED APPROACH TO DATA PROCESSING, DECEMBER 2021, p. 64 [31.05.2022].
[37] Accountability Framework, Transparency, ICO [31.05.2022].
[38] Article 29 Working Party Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017 As last Revised and Adopted on 11 April 2018, p. 40.
[39] Age appropriate design: a code of practice for online services, Data minimization, ICO [31.05.2022].
[40] Frequently asked questions, Transparency (cookies and privacy notices), ICO [31.05.2022].
[41] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი.
[42] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 315.
[43] Article 29 Data Protection Working Party Opinion 03/2013 on purpose limitation, Adopted on 2 April 2013, p. 39 [31.05.2022].
[44] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principle (b): Purpose limitation, ICO [31.05.2022].
[45] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 140.
[46] ასაკის დადასტურება (Age verification) - ადამიანის ასაკს განსაზღვრავს დიდი სიზუსტით, სანდო და გადამოწმებადი ჩანაწერების შემოწმების გზით. იხ. Information Commissioner's opinion: Age Assurance for the Children's Code, 14 October 2021, p. 5 [31.05.2022].
[47] CHILDREN FRONT AND CENTRE, FUNDAMENTALS FOR A CHILD-ORIENTED APPROACH TO DATA PROCESSING, DECEMBER 2021, p. 48.

[48] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, „გ“ ქვეპუნქტი.
[49] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principle (c): Data minimisation, ICO [31.05.2022].
[50] *იქვე.*
[51] Age appropriate design: a code of practice for online services, Data minimization, ICO [31.05.2022].
[52] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principle (c): Data minimisation, ICO [31.05.2022].
[53] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, „დ“ ქვეპუნქტი.
[54] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principles, Accuracy, ICO [31.05.2022].
[55] *იქვე.*
[56] ასაკის შემოწმება (Age Assurance) - არის ყველაზე ფართო ტერმინი ონლაინ მომხმარებლის ასაკის ან ასაკობრივი დიაპაზონის დასადგენად. იგი უზრუნველყოფს, რომ არასრულწლოვნებს არ ჰქონდეთ წვდომა სრულწლოვანთა, მავნე ან სხვაგვარად შეუსაბამო კონტენტზე/შინაარსზე. ასევე, არსებობს ტერმინები, რომლებიც შეესაბამება ასაკის შემოწმების სხვადასხვა მიდგომებს - ასაკის დადასტურება (Age verification) და ასაკის შეფასება (Age estimation). იხ. Age Assurance = Age Verification + Age Estimation, Information Commissioner's opinion: Age Assurance for the Children's Code, 14 October 2021, p. 5 [31.05.2022].
[57] GDPR-ის მიხედვით, პროფილირება ნიშნავს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ავტომატური ფორმით დამუშავებას, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად. პროფილირება წარმოადგენს სფეროს, რომელშიც ბავშვის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. პროფილირება შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზნების ფართო სპექტრისთვის. ის შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ონლაინ კონტექსტში, რათა შესთავაზოს ან მიაწოდოს მომხმარებელს კონტენტი/შინაარსი. მისი გამოყენება ასევე შეიძლება მომხმარებლის ასაკის დასადგენად ან შესაფასებლად, ბავშვების დაცვის, ან დანაშაულის პრევენციის მიზნით. პროფილები ჩვეულებრივ ეფუძნება მომხმარებლის წარსულ ონლაინ აქტივობას ან დათვალიერების ისტორიას. იხ. General Data Protection Regulation, GDPR, Article 4 (4), Recital 38, Age appropriate design: a code of practice for online services, Profiling, ICO [31.05.2022].
[58] Information Commissioner's opinion: Age Assurance for the Children's Code, 14 October 2021, p. 26-27.
[59] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, „ე“ ქვეპუნქტი.
[60] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, მე-5 მუხლის 1 (e) ქვეპუნქტი და მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-5 მუხლის 4 (e) ქვეპუნქტები.
[61] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Principles, Storage limitation, ICO [31.05.2022].
[62] *იქვე.*
[63] General Data Protection Regulation, GDPR, Article 5 (1) "f" [31.05.2022].
[64] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Security, ICO [31.05.2022].
[65] ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხო დამუშავების საკითხებს.
[66] Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018 §63 [31.05.2022].
[67] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი.

[68] *იქვე,* მუხლი 2, „ზ“ ქვეპუნქტი.
[69] ICO, promoting openness by public bodies and data privacy for individuals, What is valid consent? [31.05.2022].
[70] Article 29 Working Party Guidelines on consent under Regulation 2016/679, Adopted on 28 November 2017 As last Revised and Adopted on 10 April 2018, p. 12-13.
[71] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 166.
[72] Article 29 Working Party Guidelines on consent under Regulation 2016/679 Adopted on 28 November 2017 As last Revised and Adopted on 10 April 2018, p. 11.
[73] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, მუხლი 4 (11).
[74] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 169.
[75] *იქვე,* პრეამბულა, მუხლი 38.
[76] Swedish Authority for Privacy Protection, The rights of children and young people on digital platforms, Stakeholder guide, p.20.
[77] *იქვე,* გვ. 24.
[78] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.
[79] Guidelines to respect, protect and fulfil the rights of the child in the digital environment, Recommendation CM/Rec(2018)7 of the Committee of Ministers, §26 [31.05.2022].
[80] Guide to Data Protection, Key DP themes, Children, ICO [31.05.2022].
[81] Sonia Livingstone, Eva Lievens, Sharon McLaughlin, David Miles, Brian O'Neill, Valerie Verdoodt, Policy guidance on empowering, protecting and supporting children in the digital environment, Report, Council of Europe, November 2018, p. 14.
[82] Digital rights of children, Recommendation 2: Encourage children to exercise their rights, 09 August 2021, CNIL [31.05.2022].
[83] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 461.
[84] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.
[85] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 236.
[86] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 415-416.
[87] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.
[88] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Individual rights, Right to be informed, ICO [31.05.2022].
[89] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 247.
[90] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 460.
[91] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Right of access, What is the right of access?, ICO [31.05.2022].
[92] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 21-ე მუხლი.
[93] Your data matters, Your right to get copies of your data, Preparing and submitting your subject access request, ICO [31.05.2022].
[94] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლი.
[95] GDPR commentary, GDPRHUB, Article 16 [31.05.2022].
[96] General Data Protection Regulation, GDPR, Article 16 [31.05.2022].

[97] Your Rights under the GDPR, The right to rectification, The Data Protection Commission (DPC), Ireland [31.05.2022].
[98] CHRISTOPHER KUNER, LEE A. BYGRAVE, CHRISTOPHER DOCKSEY, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, p. 473.
[99] Your data matters, Your right to get your data corrected, How to get your data corrected [31.05.2022].
[100] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.
[101] პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანება, 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი [31.05.2022].
[102] GDPR commentary, GDPRHUB, Article 18 [31.05.2022].
[103] პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანება, 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[104] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Individual rights, Right to restrict processing [31.05.2022].
[105] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, გვ. 253.
[106] Your data matters, Your right to get your data deleted, ICO [31.05.2022].
[107] The rights of children and young people on digital platforms, Stakeholder guide, The Swedish Authority for Privacy Protection, The Ombudsman for Children in Sweden and The Swedish Media Council, p. 32 [31.05.2022].
[108] პირდაპირი მარკეტინგი არის ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება. იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის „უ" ქვეპუნქტი.
[109] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-8 და 25-ე მუხლები.
[110] Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Consent, How should we obtain, record and manage consent?, ICO [31.05.2022].
[111] Taking photos at school events – Where common sense comes into play, The Data Protection Commission (DPC) [31.05.2022].
[112] მოდერნიზებული 108-ე კონვენცია, მუხლი 18 [31.05.2022].
[113] General Data Protection Regulation, GDPR, Article 57 (2) [31.05.2022].
[114] „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ" პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის № 04 ბრძანების მიხედვით, საზედამხედველო ორგანო მონაცემთა დამუშავების კანონიერებას ამოწმებს (ინსპექტირება) როგორც გეგმურად და არაგეგმურად, ასევე, მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე. მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება (ინსპექტირება) ხორციელდება შემოწმებების წლიური გეგმის შესაბამისად. ხოლო, მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმურ შემოწმებას (ინსპექტირებას) საზედამხედველო ორგანო ატარებს საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის შეტყობინების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ტელ.: (+995 32) 242 1000

ელ. ფოსტა: office@pdps.ge

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N°7, 0105